

# ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“

## გამარტივებული ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაცია

საკანცელარიო საქონლის (საოფისე მანქანები, კომპიუტერების,  
პრინტერებისა და ავეჯის გარდა) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

---

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 121-მუხლისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს საფუძველზე.

ქ. ფოთი

2017 წელი

## სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია.....	3-5
2. დამატებითი ინფორმაცია.....	6
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....	7-9
4. დანართი № 1, რეკვიზიტები.....	10
6. დანართი № 2, ფასების ცხრილი.....	11
7. დანართი № 3, ანგარიშსწორების პირობები.....	12
8. დანართი № 4, საქონლის მიწოდების პირობები და ვადები.....	13

## 1. ტექნიკური დოკუმენტაცია

**1.1 პრეტენდენტის მიერ ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ტექნიკურ დოკუმენტაციის ჩამონათვალი (როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის):**

- ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები (დასახელება, მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი) დანართი N 1;
- ბ) ფასების ცხრილი, (მწარმოებელი ქვეყნის, ფირმის და მოდელის მითითებით) დანართი N 2;
- გ) ანგარიშსწორების პირობები, დანართი N 3;
- დ) საქონლის მიწოდების პირობები და ვადები, დანართი N 4;

**სატენდერო წინადადების წარმოდგენი პრეტენდენტი ავტომატურად ეთანხმება ტექნიკურ დოკუმენტაციაში მოცემულ პირობებს.**

**შენიშვნა:** ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტის ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება) და დამოწმებული ბეჭდით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

**1.2 პრეტენდენტისაგან ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.**

**1.3 ანგარიშსწორების პირობები:**

1.3.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.3.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიური მიწოდების შესაბამისად.

1.3.3. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

1.3.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

1.3.5. დაფინანსების წყარო: 2017 წლის საკუთარი სახსრები.

**1.4 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია: (არ გამოიყენება)**

**1.5 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:**

1.5.1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **580.00** (ხუთასოთხმოცი) ლარი.

1.5.2. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული პროექტის შედგენასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაეკემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი უნდა იქნას დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი.

1.5.3. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტს მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება, რისთვისაც შემსყიდველის მიერ განესაზღვრება არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღე. პრეტენდენტის მიერ ფასწარმოქმნის ადეკვატურობა უნდა დასაბუთდეს ექსპერტიზის/აუდიტის დასკვნით ან/და მის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებებით, ანგარიშგაქტურით (ინვოისით), რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

**შენიშვნა:** ექსპერტიზის ჩამტარებელი პირი (ფიზიკური, იურიდიული) არ უნდა იყოს მიმწოდებლთან საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებული პირი.

**1.6 შესყიდვის ობიექტი:**

1.6.1. სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“-ს მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერით შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

№	Срв კოდი	შესყიდვის ობიექტი	განზომილების ერთეული	შესყიდვის ობიექტის რაოდენობა
1	2	3	4	5
2	30197330	სახვრეტელა (დირაკოლი) დიდი	ცალი	5
3	30197330	სახვრეტელა (დირაკოლი) პატარა	ცალი	5
4	30192133	ფანქრის სათლელი	ცალი	7
5	30192130	ფერადი ფანქრები: (4 ცალი წითელი, 4 ცალი ყვითელი, 4 ცალი მწვანე, 4 ცალი ყავისფერი, 4 ცალი ლურჯი. დიდი ზომის, დიამეტრი არანაკლებ 10მმ)	ცალი	20
6	30192125	ტექსტ მარკერი (სხვა და სხვა ფერი)	ცალი	40
7	30197300	საკანცელარიო დანა	ცალი	20
8	30100000	სკოჩი დიდი	ცალი	50
9	30100000	სკოჩი პატარა	ცალი	40
10	30197220	ლითონის სკრეპი პატარა ზომის	ყუთი	10
11	30197110	სტეპლერის ტყვიები N 10	ყუთი	20
12	30197110	სტეპლერის ტყვიები N 24/6	ყუთი	10
13	30192130	ფანქარი უბრალო (გული HB)	ცალი	100
14	30192121	საწერი კალამი ლურჯი მელნით (უნდა ეცვლებოდეს შიდა გული)	ცალი	150
15	30192121	საწერი კალამი შავი მელნით (უნდა ეცვლებოდეს შიდა გული)	ცალი	40
16	30192121	საწერი კალამი წითელი მელნით (უნდა ეცვლებოდეს შიდა გული)	ცალი	30
17	30192123	ტუშიანი საწერი კალამი	ცალი	70
18	30199230	კონვერტი სხვა და სხვა ზომის (A4 – 150 ცალი; A5 – 50 ცალი; A6 – 100 ცალი)	ცალი	300
19	30192124	დისკზე საწერი ფლომასტერი	ცალი	5
20	30192127	საკანცელარიო ჭიქა	ცალი	10
21	30197320	სტეპლერი N 24/6	ცალი	7
22	30197320	სტეპლერი N 10	ცალი	7
23	30195921	დაფის საწმენდი ღრუბელი	ცალი	6
24	30195700	დაფის მაგნიტი	კომპლექტი	3
25	30199230	კონვერტი CD დისკებისთვის	ცალი	30
26	30199230	დაფაზე საწერი კალამი	ცალი	10

1.6.2. ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენმა პრეტენდენტმა, შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემსყიდველს უნდა წარმოუდგინოს მოსაწოდებელი საქონლის ნიმუში. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტზე, ხოლო ასეთის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, დაბალი ფასის წარმომდგენ ყოველ შემდგომ პრეტენდენტზე.

1.6.3. საქონლის მიღებისას, ან ექსპლუატაციაში შესვლისას, შემსყიდველის მიერ თუ აღმოჩნდება, რომ საქონელი არის უხარსხო და მისი ექსპლუატაცია შეუძლებელია, ან დადგენილი წესით არ აარის შესაძლებელი, პრეტენდენტი (შემდგომში მიმწოდებელი) ვალდებული იქნება აღნიშნულის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარულ დღის ვადაში, თავისივე ხარჯებით, გამოცვალოს ის საქონელი ახლით.

**1.7 საქონლის მიწოდების პირობები და ვადები:**

1.7.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სრულად, არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა.

**1.8 დამატებითი მოთხოვნები.**

1.8.1. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

1.8.2. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

## 2. საკონტაქტო ინფორმაცია

2.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის და განმარტებების (როგორც ზეპირად ასევე წერილობით) მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქ. N 93.

საკონტაქტო პირები:

- სატენდერო აპარატის წევრი – **სალომე ჭოჭუა**, ტელ: +995 493 27-49-98 (111), 595 65-71-74, E-mail: **s.chochua@hydrography.ge**.
- სატენდერო კომისიის წევრი – **თენგიზ გაჩეჩილაძე**, ტელ: +995 493 27-49-98 (110), 577 95-00-08.

### 3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (ხელშეკრულების პირობები დაზუსტდება გამარჯვებულ ორგანიზაციასთან)

ქ.ფოთი

„ \_\_\_\_\_ 2017 წელი

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“ (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილის დირექტორის – **რევაზ ბაბილუას** სახით და მეორეს მხრივ \_\_\_\_\_ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის \_\_\_\_\_ სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

#### 1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც ვაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
- 1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.4. „მიმწოდებელი“ – ორგანიზაცია/პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

#### 2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკანცელარიო საქონლის მიწოდებას, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ჩამონათვლის შესაბამისად.

#### 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკანცელარიო საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

#### 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 4.1. ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
- 4.2. ანგარიშსწორების ვადა – შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის ვაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

#### 5. მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის ვაფორმების შემდეგ.

#### 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
  - ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
- 6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
  - ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- 6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
  - ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- 6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
  - ა) განუხრებლად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

6.5. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,05% - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

### **7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველისმიერ გამოყოფილი თანამშრომელი \_\_\_\_\_.

7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

### **9. ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ/ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 (ხუთი) დღის ოდენობით. ამასთან დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ/ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:

ა) იმ ვალდებულებების შესრულებისგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);

ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

9.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### **10. ფორს-მაჟორი**

10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

10.2. „ფორს-მაჟორის“ ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.

10.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყონებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

10.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარეს, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.



10.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

### 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

11.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

### 12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

### 13. შეტყობინება

13.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გააგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

### 14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს \_\_\_\_\_.

14.2. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.3. ყველა სხვა საკითხი, რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე \_\_\_\_\_ ეგზემპლარად.


შემსყიდველის მხრიდან: \_\_\_\_\_

მიმწოდებლის მხრიდან: \_\_\_\_\_

რეკვიზიტები: \_\_\_\_\_  
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: \_\_\_\_\_  
ხელმძღვანელის სახელი და გვარი: \_\_\_\_\_  
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: \_\_\_\_\_  
საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_  
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: \_\_\_\_\_  
ელექტრონული მისამართი: \_\_\_\_\_  
ბანკის დასახელება და კოდი: \_\_\_\_\_  
ანგარიშსწორების ანგარიში: \_\_\_\_\_  
ანგარიშის ნომერი: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_  
(თანამდებობა, სახელი, გვარი)

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)



## ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება : \_\_\_\_\_

N	საქონლის დასახელება	ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	2	3	4	5	6	7


ხელმოწერა: \_\_\_\_\_

ბ.ა.

ანგარიშსწორების პრობები

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში : \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_


ხელმოწერა: \_\_\_\_\_



## საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

N	საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1			საქართველო, ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქ. N 93	

ხელმოწერა: \_\_\_\_\_



ბ.ა.